მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის თოთხმეტ მარტს მე, ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზამბახი"-ს,*** საიდენტიფიკაციო კოდი 202056700, დირექტორი **ოთარ კიკალიშვილი,** დაბადებული 1951 წლის 16 ოქტომბერს გურჯაანში, პირადი №01025004302, რეგისტრირებული ქ.თბილისში, შინდისის ქუჩა №4, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას **ალექსანდრე ფარულავას,** დაბადებულს 1977 წლის 2 იანვარს თბილისში, პირადი №01018003578, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩა, მე-7 კორპუსი, ბინა 23, წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, დადოს ხელშეკრულებები, მართოს საზოგადოების სახელზე რიცხული ანგარიშები ბანკებში, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, საზოგადოების სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერები, მოაწეროს ხელი ჩემი სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება შპს "ზამბახი"-ს, ს/კ 202056700, დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მიმნდობის, შპს "ზამბახი"-ს
სახელით, დირექტორი:

ოთარ კიკალიშვილი

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის თოთხმეტ მარტს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **ოთარ კიკალიშვილმა.**

მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების "ზამბახი",** ს/კ 202056700, დირექტორი. წარმოადგინა მინდობილობა ბ-ნი ალექსანდრე ფარულავასათვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთ გვერდზე, სუთ ცალად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ბატონმა **ოთარ კიკალიშვილმა,** დაბადებულმა 1951 წლის 16 ოქტომბერს გურჯაანში, პირადი №01025004302, რეგისტრირებული ქ.თბილისში, შინდისის ქუჩა №4.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე მინდობილობაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ბატონმა ოთარ კიკალიშვილმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობაზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 13,80 ლარი - აქედან: სახელმწიფო 10,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის სახელმწიფო, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი



ნინო მასხულია





სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130242428
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.03.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო მასხულია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	80117878418413

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18